ჰომეოსტაზისა და ადაპტაციის უნარი ცოცხალ ორგანიზმებში

მომხსენებელი: ცოტნე სულაშვილი

ხელმძღვანელი: ბესიკ კალანდაძე

ელ-ფოსტა: E-mail: Tsotne.sulashvili2013@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი.ჭავჭავაძის პრ. #3, თბილისი.

ცოცხალ ორგანიზმებს სხვადასხვა უნარები გააჩნიათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თვითგადარჩენისთვის მნიშვნელოვანი უნარები როგორიცაა ჰომეოსტაზის და ადაპტაციის უნარი.

ჰომეოსტაზი ესაა ორგანიზმის უნარი დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას სხვადასხვა გარე ფაქტორების ზემოქმედების მიუხედავად. ეს უნარი ორგანიზმებს ეხმარება სხვადასხვა ცვლილებებს შეებრძოლოს რათა თვითგადარჩენა შეძლოს. იმ შემთხვევაში როდესაც გარე ფაქტორები ძალიან ძლიერია და ორგანიზმს არ აქვს უნარი თავისი მდგომარეობა შეინარჩუნოს ის ან კვდება ან უკვე მეორე უნარით რომელსაც ადაპტაციას ვუწოდებთ შეეგუოს იმ გარემოს რომელიც ცვლილების შემდეგ შეიქმნა. ადაპტაციის უნარი ორგანიზმს არ აძლევს საშუალებას რომ ერთ დღეში შეეგუოს ძლიერ ცვლილებებს მაგრამ თუ დავაკვირდებით გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებს, მარტივად მივხდებით რომ მათ გავლილი აქვთ ადაპტაციის ეტაპები. ამას ამტკიცებს ბერგმანისა და ალენის წესებიც რომელიც განედის მიხედვით ცხოველების სხეულის და მათი კიდურების ზომის ცვლილებაში ვლინდება.

აღსანიშნავია ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციაც რომელიც დროში ცვალებადია და ეს განპირობებულია ადაპტაციის უნარით. დღესდღეობით ორგანიზმისთვის შეუძლებელი შესაძლოა მომავალი თაობებისთვის შესაძლებელი იყოს.